პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

6 ოქტომბერი

ხუთშაბათი

1918. რევოლიუცია ბულგარეთში. მეფე ფერდინანდმა უარი განაცხადა ტახტზე თავისი შვილის სასარგებლოდ.

ავსტრია უნგრეთი წინადადებას იძლევა, მოკავშირეებთან დაუყონებლივ იქნას დადებული შეთანხმება.

1917. დემოკრატიული თათბირის გახსნა პეტროგრადში.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაბეჭდვა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

ესპანიაში პროფესიული მოძრაობის წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს აწარმოებენ.

საფრანგეთში მუშათა გაფიცვებმა [illegible] ფართო ხასიათს ღებულობს.

ორ ოქტომბერს ვენაში გაიხსნა ომის მსხვერპლთა ინტერნაციონალის მეორე კონგრესი.

ნორვეგიის პარლამენტმა დაამტკიცა რუსეთ ნორვეგიის სავაჭრო შეთანხმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 178 ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი, 1921 წ. № 178

პარტიის გაწმენდისათვის

მუშაობა, პარტიის გაწმენდის მიზნით დაწყებული, მიმდინარეობს თავის წესით ჩვენშიაც და იმ უამრავ შემთხვევათა გარჩევის გამო, რომელთა შესახები მასალა მოგროვდა რაიონებში შეუძლებელი გახდება დათავდეს ის წინასწარ განძრახულ ვადაში. ამნაირათ, როგორც სიფართოვით, ისე შინაარსით, პარტიის გაწმენდის კამპანია იღებს ჩვენი ორგანიზაციის მომავლისათვის უაღრეს მნიშვნელობას. შეიძლება ითქვას რამოდენიმეთ, რომ პარტია იქნება ხელახლა, განთავისუფლებული იმ ელემენტებისაგან, რომლებიც მძიმე ტვირთათ აწვა მის მმოძრავ სხეულს, დაბოლოს იმ საეჭვო ღირსების პირებისაგან, რომელთა მონაწილეობით ორგანიზაციაში პარტია კარგავდა თავის გავლენას მასებში, მიმზიდველობას ამ მასებისათვის. იგივე მუშაობა უფრო ფართო მასშტაბით სწარმოებს რუსეთის კომპარტიაში. ამ საგანს ეხება ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გადმობეჭდილი ამხ. ლენინის წერილი. ორ მომენტს აქვს მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება ამ წერილში. პირველი არის უპარტიო მუშათა მასების ჩარევა პარტიის გაწმენდის საქმეში, მეორე სპეციალური ყურადღება, რომელიც უნდა მიექცეს მენშევიკებს, რომლებისაგან, მცირე რიცხვიან ერთეულების გამოკლებით, სრულიათ უნდა გაიწმინდოს პარტიული ორგანიზაცია. პარტიის გასაწმენდათ მომუშავე კომისიებმა უნდა მიაქციონ ყურადღება სხვათა შორის ამ ორივე მომენტს. უპარტიო მასა პოლიტიკურათ ყველაზე უფრო ნაკლებათ აქტიური ელემენტია, ამასთან ჩვენში მცირე რიცხოვანიც, მაგრამ რამდენათაც ცხოვრების მუჯლუგუნების გამო, რომლებსაც სინამდვილე სთავაზობს მას, ის იძულებულია თავისი აზრი ხმა მაღლა გამოსთქვას, ის გამოხატავს უმეტეს ნაწილათ თავის გულწრფელ შეხედულობას სახელმწიფოებრივი ორგანოების, პარტიის თუ მათ მოღვაწეთა ამა თუ იმ ნაკლზე, ისეთ ნაკლზე, რომელიც ეჩოთირება ხალხის სულისკვეთებას, ან, ასე ვსთქვათ, მის საზოგადოებრივ სინდისს. მსგავს შემთხვევაში ხმა უპარტიოების შეიძლება მიღებულ იქნას „ხმათ ღვთისა" და ჩვენ გვერდს ვერ ავუხვევთ მას, რამდენათაც საზოგადოთ დასაშვებია, რომ შინაური პარტიული საქმეების დაყენებაში ვისარგებლოთ პარტიის გარეშე ძალების ჩვენებით, მათი გავლენით. უპარტიო მუშათა ასეთ აზრს, მათ მითითებას, რამდენათაც ეს თავს იჩენს ჩვენი მუშაობის დროს პარტიის გაწმენდის საქმეში, ანგარიში უნდა გაეწიოს, უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. ეს იქნება ბევრ შემთხვევაში ჭეშმარიტი დახმარება ჩვენი კომისიებისთვის უპარტიოების მხრით და ესვე გარემოება ხელს შეუწყობს პარტიის გავლენის გაფართოების საქმეს ამ წრეებში.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელზედაც მიგვითითებს ამხ. ლენინი თავის წერილში არის საკითხი მენშევიკების შესახებ, რომლებიც სხვა და სხვა ხრიკებით მოექცნენ ჩვენ პარტიაში. კითხვას სხვა პარტიებიდან გადმოხიზნული ელემენტების შესახებ უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება საზოგადოთ და ეს ითქმის განსაკუთრებით ყოფილ მენშევიკების შესახებ. ამხ. ლენინი სწერს: „...მენშევიკებიდან, რომელნიც შემოვიდნენ პარტიაში 1918 წლის დასაწყისზე გვიან, უნდა იქნენ დატოვებული პარტიაში დაახლოვებით არა უმეტეს ერთი პროცენტისა, ისიც ყველა დატოვებული სამჯერ და ორჯერ უნდა იქნას შემოწმებული. რატომ? იმიტომ, რომ მენშევიკებმა, როგორც მიმდინარეობამ, 1918—1921 წლების განმავლობაში ცხად ჰყვეს ორი თვისება: პირველი—მოხერხებულათ შეეგუონ, „მიეტმასნონ" მუშათა შორის გაბატონებულ მიმდინარეობას; მეორე—უფრო მოხერხებულათ ემსახურონ რწმენით და სიმართლით თეთრგვარდიელობას, ემსახურონ მათ საქმით, ხოლო უარჰყონ სიტყვით". იგივე ითქმის საერთოთ ჩვენებურ მენშევიკებზედაც და პარტიის გაწმენდის კამპანიის დროს ეს მიღებული უნდა იყოს სახელმძღვანელოთ. მენშევიკი, ეს სინონიმია კონტრ-რევოლიუციონერის. მისდა საუბედუროთ, შეიძლება მას ჩვენში საშუალება მოსპობილი ჰქონდეს დაეყრდნოს შინაურ თეთრგვარდიელობას, რადგან ასეთი ფაქტიურათ სუსტია ჩვენში და უძლეური, მაგიერათ მას აქვს სხვა შესაძლებლობანი, გამოიყენოს თავის მდგომარეობა პარტიაში (რომლის ორგანიზაციაში ისინი აქა იქ შეჩრილი არიან), როგორც შესაძლებელმა აგენტებმა იმპერიალისტური ინტერვენციის, ხელის შემწყობებმა შინაური არევ დარევის და მოციქულებმა შეგნებული საბოტაჟის. მათი აშკარა გამურული სახის გამო, ისინი ხშირათ გამოდიან უპარტიოთა ნიღაბ ქვეშ. ეს შენიშნულია არა მარტო რუსეთში, არამედ ჩვენშიაც. ეს გარემოება, რასაკვირველია შეცდომაში ვერ შეიყვანს ჩვენ ამხანაგებს.

მეტი ანგარიშის გაწევა უპარტიოთა გულწრფელ ხმისათვის პარტიის გაწმენდის საქმეში და მენშევიკების გამოკრეფა პარტიულ ორგანიზაციებიდან—ამას ურჩევს რუსეთის პარტიას ამხ. ლენინი და სხვათა შორის ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენც ადგილობრივ.

ნატურალური გადასახადი და გლეხობა

ამას წინათ მოსკოვის გაზ. „პრავდა" (№ 203) სწერდა: „პროვინციებიდან მეტათ ნაკლებ და მცირე ცნობებს ვღებულობთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების შესახებ ცხოვრებაშიო". თუ ასე ამბობენ რუსეთის პრესის შესახებ, რომელშიც მუდამ მდიდარ ცნობებს ვკითხულობთ იმაზე, თუ რა ხდება როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში ეკონომიური ცხოვრების ირგვლივ, რაღა უნდა ითქვას ჩვენ ღარიბ პრესაზე ამ მხრით, შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ ჩვენი მდგომარეობა ამ მხრით უნუგეშოა.

დღემდის ჩვენ შევსძელით მხოლოდ ის, რომ გამოვეცით რამდენიმე დეკრეტი ნატურალური გადასახადების დაწესების შესახებ პურზე, სიმინდზე, ხორცზე, რძის პროდუქტებზე და სხვ. და სხვ. და ამ გადასახადების ასაკრეფათ მობილიზაცია ვუყავით რამდენიმე ათეული და ასეულ ამხანაგებს. ამ რიგათ, დეკრეტები გამოვეცით, ამხანაგები დავგზავნეთ სოფლად, მაგრამ რა ხდება ადგილობრივ, როგორ ითვისებს, ან როგორ ღებულობს ამ გადასახადებს გლეხკაცობა, ან როგორ უხსნიან მას ნატურალურ გადასახადების მნიშვნელობას და სხვა და სხვ., ყველა ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ნატურალური გადასახადი ხომ სრულიად ახალი საქმეა ჩვენში. რუსეთში ამ გადასახადის შემოღება ნიშნავდა დიდ შეღავათს, დიდ გაადვილებას, ვინაიდან მან დაიჭირა გაწერის („რაზვერსტკის") ადგილი, რაც ყოველ მხრით მეტათ მძიმე ტვირთათ აწვა რუსეთის გლეხობას სამოქალაქო ომის ხანაში. ჩვენში კი პირდაპირ ნატურალური გადასახადით ვიწყებთ. ამიტომ მისი ცხოვრებაში გატარების დროს გვმართებს დიდი სიფრთხილე და დიდი დაკვირვება; ჩვენი სიტყვიერი თუ წერილობითი პროპაგანდა არ უნდა იქნას ერთი წუთით შეჩერებული, ვინაიდან ჩვენი მტრები ამ შემთხვევას არ გაუშვებენ ისე, რომ თავის შავი მიზნებისთვის არ გამოიყენონ ის, როგორც ამას ქონებია ადგილი სხვათაშორის საჩხერის რაიონში (იხ. „კომუნისტი", № 172). ყველასათვის აშკარა უნდა იყოს ის გარემოება, რომ ისეთ პირობებში, რომლებშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, გლეხისთვის საკმარისია სულ უბრალო საბაბი, რომ საღ შეხედულებას აცდეს და სრულებით მრუდე წარმოდგენა შეადგინოს ამა თუ იმ საგანზე.

ამიტომ საჭიროა ცოცხალი და მჭიდრო კავშირი პროვინციასთან იმ ამხანაგების საშუალებით, რომლებიც პროვინციაში მუშაობენ. ამ მხრით მეტათ საინტერესოა ერთი კერძო ხასიათის წერილი, რომელიც მე ამ დღეებში მივიღე გურიიდან და რომელსაც ხელს აწერს ორი პასუხისმგებელი ამხანაგი. მოვყავს ეს წერილი აქ სიტყვა-სიტყვით ზოგიერთ ადგილების გამოკლებით, რომელითაც საკითხთან არავითარი კავშირი არ აქვთ:

...„პურზე და სიმინდზე დადებულმა გადასახადმა—სწერენ ამხანაგები—დადებითი გავლენა მოახდინა ხალხზე. საერთოთ უნდა ითქვას, რომ ნატურალური გადასახადის ეს ნაწილი სასურველათ არის განაწილებული. საუბედუროთ, ეს არ ითქმის ნატურ-გადასახადის სხვა დარგზე. გაზ. „კომუნისტის" № 159-ში რომაა მოთავსებული (დეკრეტი შინაურ საქონელზე, ძროხაზე და სხვ.) ძროხაზე *) გადასახადის შესახებ: ეს დეკრეტი შეუსაბამოა წვრილ-გლეხურ ქვეყანაში (მისი ზოგიერთი მუხლები მაინც); მაგალითად, 2 ძროხის პატრონი უკვე გადასახადს იხდის; საჭირო კი იყო, რომ 2 ძროხა გადასახადისაგან განთავისუფლებული ყოფილიყო დროებით მაინც. ასევეა დეკრეტი თხილზე და ნიგოზზე (კაკალზე). მეურნე ანუ უკეთ რომ ვთქვათ, წვრილი მესაკუთრე გლეხი, რომელსაც მოუვა 6—10 ფუთი (თხილი ან ნიგოზი) იხდის 20 გირვ. თხილს ან კაკალს, 76—100 ფუთზე იხდის თითქმის მოსავლის მეათედს, ეს იმ დროს, როცა თხილის ბაზარი დაცემულია, ძალიან ცუდი გასავალი აქვს და გლეხს მისი მოკრეფის შემდეგ ხელფასზე მეტი არაფერი რჩება. გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ბევრს უკვე სანახევროთ გაყიდული აქვს ის, სიმინდის და სხვა პირველ მოთხოვნილების საგნების საყიდლათ. ასევეა გადასახადი ვაშლზე და სხვა ხილეულობაზე. საერთოთ მოსავლის პატარა რაოდენობაზე, მაგ., 10—20 ფუთზე უნდა იქნას სულ მოსპობილი ან შემცირებული... თვით სახელმწიფოს ინტერესებისათვის საჭიროა უფრო საშუალო ნორმა, უფრო ზომიერი გადასახადი"...

ვიმეორებ ზემომოყვანილ წერილის ავტორები ჩვენი პარტიული ამხანაგებია და პასუხისმგებელი მუშაკები, და ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი გამოხატავენ თავის წერილში გლეხკაცობის ზოგიერთ ჯგუფების სულისკვეთებას. მაგრამ პროვინცია მოწყვეტილია ჩვენგან, ცენტრიდან, შიშველი დეკრეტის მეტი მათთან თითქმის არაფერი მიდის, და ყოველივე ეს სრულიად ახალი მოვლენაა, ან ძველ ბატონ-ყმურ ურთიერთობას გვაგონებს. ერთი სიტყვით ის ღრმა აზრი და მნიშვნელობა, რომელიც აქვს ნატურალურ გადასახადს საბჭოთა სახელმწიფოსთვის, თითქმის სავსებით გაუგებარი რჩება.

გურული ამხანაგები, წერილის ავტორები, მართალი არიან იმ მხრით, რომ სისწორით გამოხატავენ წვრილ და საშუალო მესაკუთრის ფსიხოლოგიას, მის სულისკვეთებას. მაგრამ იმათი უბედურება იმაშია, რომ ისინი შორს არიან თვით ნატურალური გადასახადის დიადი მნიშვნელობის შეგნებისაგან მუშურ-გლეხური სახელმწიფოსთვის, ე. ი. თვით მუშებისა და გლეხებისათვის. მუშურ-გლეხურმა სახელმწიფომ ხომ უნდა იარსებოს, ეს სახელმწიფო ხომ უნდა განმტკიცდეს და გამაგრდეს; ამაში ხომ თვით მუშები და გლეხები უნდა იყვნენ უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულნი.

მაგრამ როგორ შეგვიძლია ამას მივაღწიოთ? ქალაქის მუშები მშიერი და ტიტვლები არიან; ამიტომ ფაბრიკები და ქარხნები ვერ აგვიმუშავებია, და გლეხკაცობისთვის საჭირო საგნები ვერ შეგვიქნია, ვერ დაგვიმზადებია. ამხანაგებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს არავითარი მარაგი, არავითარი ფონდი მუშებისა და წითელ არმიის შესანახათ არ აქვს. თუ ეს ჩვენ ვერ შევქმენით, თუ ჩვენ არ ვიქონიეთ ასეთი ფონდი, ვერც მუშებს დავარჩენთ და ვერც წითელ არმიას შევინახავთ. უამისოთ კი ვერც გლეხს მივაწვდით მისთვის საჭიროს და აუცილებელი საგანს, ლურსმანს, ცულს, თოხს და სხ. მაშასადამე, ასეთი მარაგის ანუ ფონდის შექმნა აუცილებელია. მაგრამ საიდან შეგვიძლია ამ მარაგის, ამ ფონდის შექმნა?

თავისთავათ იგულისხმება, რომ ერთად ერთი გზა, ერთად ერთი საშუალება ამ შემთხვევაში არის ნატურალური გადასახადის დადება სოფლის ნაწარმოებზე, პურზე, ხორცზე, ყველზე, ერბოზე, კაკალზე და სხვა და სხ. სიმართლე უნდა ვთქვათ: ამ უკანასკნელი წლეული იმპერიალისტური ომის დროს ერთი მხრით და შემდეგ რევოლიუციის ხანაში მეორე მხრით, ხალხი ნივთიერათ გაღატაკდა და დაეცა. მაგრამ თუ, რომელიმეს შევადარებთ ჩვენში ქალაქის მუშებს ერთი მხრით და გლეხკაცობას მეორე მხრით, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ გლეხკაცობამ შედარებით უფრო მოიგო: მან მიიღო მიწა, რომელიც მას სარჩოს აძლევს, და შედარებით ქალაქის მუშასთან ნაკლებათ განიცდის სიმშილს და სიცივეს. ამიტომაც სამართლიანობა მოითხოვს, რომ მან ამ შემთხვევაში ცოტა რამ უნდა დასთმოს ქალაქის მუშების და აგრეთვე წითელი ჯარის სასარგებლოთ, რომელიც მისი დამცველია.

მეორე მხრით, გურული ამხანაგები ამბობენ, რომ დაწესებული ნორმა დიდია, საჭიროა უფრო ზომიერი ნორმაო და გვიჩვენებენ მაგალითებს. ორი ძროხის პატრონზე შეუძლებელია გადასახადის დაწესებაო. მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ გადასახადიც არის და გადასახადიც: თუ რომ ორი ძროხის პატრონი წელიწადში ოთხ გირვანქა ყველს ან მის სამაგიეროს სხვას რასმეს გადაიხდის, ეს მაინცადამაინც დიდათ შესაწუხებელი არ უნდა დარჩეს. ამაში უნდა დაგვეთანხმონ ამხანაგები. ასევე სხვა შემთხვევაშიაც. 6—10 ფუთ თხილზე ან კაკალზე სოფლის მეურნე იხდის 20 გირვანქას, ე. ი. ას გირვანქაზე დაახლოვებით 7—8 გირვანქას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მძიმე ტვირთი არაა. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა სრულებით არავითარი გადასახადი არ იყოს. და სწორედ აქეთკენაა მიმართული მთელი ჩვენი მეცადინეობა. მაგრამ ჯერ ეს არ შეიძლება, ჯერ მუშურ-გლეხური სახელმწიფო დიდ გაჭირვებას განიცდის და ამ გაჭირვებაში ჩვენმა გლეხებმაც უნდა გაინაწილონ თავის თავზე საერთო გასაჭირი. აქ არაფერი სასირცხო და გასაწითლებელი ჩვენთვის არაა. პირიქით, სირცხვილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ჩვენი ისტორიული მოვალეობის შესრულება. წინეთაც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ ყველა ამ გადასახადებს დროებითი ხასიათი აქვს. რომ თვით გადასახადები შეძლების კვალობაზე ედება, რომ ღარიბი და შეუძლო იქიდან სრულებით განთავისუფლებულია. საჭიროა მხოლოდ შეგნება, საჭიროა ამ გადასახადების აზრის და მნიშვნელობის გაგება და ამის ახსნა გლეხებისთვის.

მაშ არავითარი ყოყმანი, არავითარი ეჭვი მის სამართლიანობაში. სისწორე და სამართლიანობა მის ცხოვრებაში გატარების დროს. და ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ყველა ღარიბების, ყველა წვრილი და საშუალო გლეხკაცობის მთელი თანაგრძნობა, სიმპატია, ჩვენ მხარეზე იქნება.

ფ. მახარაძე.

---

*) ლაპარაკია ძროხის (და ცხვრის) რძის პროდუქტებზე დადებულ ნატურ. გადასახადის შესახებ.

რედ.

ქართული პრესა

გამოვიდა საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა ყოველკვირეული ორგანო „შრომა"-ს პირველი ნომერი. ყოველი პარტიის ცხოვრებაში ცენტრალური ორგანოს პირველი ნომრის გამოშვება ნამდვილი დღესასწაულია. აქ შემთხვევით სარგებლობს თითოეული პარტია და იქ რეფს მთელს თავის აღფრთოვანებას, მთელს სიძლიერეს თავისი პროგრამის შინაარსისას და თავის ტაქტიკურ მრწამს ამცნობს ქვეყანას, საქართველოს ეს-ერების გაზეთის პირველ ნომერს არ ეჩნევა მსგავსი რამ. მიმდინარე წლის თებერვალში ძირითადი, საისტორიო გარდატეხა მოხდა საქართველოს პოლიტიკურსა და ეკონომიურ სინამდვილეში, გადაიშალა მისი ისტორიის ხელახალი ფურცელი, ავათ თუ კარგათ ბურჟუაზიული წესწყობილების ნანგრევებზე შენდება სოციალისტური საზოგადოება. პარტია, რომელსაც თავი მოაქვს სოციალისტურად და რევოლიუციურად განა ვალდებული არ არის მკაფიოდ და გადაჭრით განმარტოს თავისი დამოკიდებულება გადატრიალებასთან და ახალ წესწყობილებასთან? ეს-ერების გაზეთის პირველ ნომერში ასეთ განმარტებას ვერ ვხედავთ. გაზეთის მეთაურში ვკითხულობთ:

„ამ ხნის განმავლობაში ჩვენში დიდი ცვლილებები მოხდა. დემოკრატიული რესპუბლიკის ნაცვლად დამყარდა საბჭოთა რეჟიმი, საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენ ახალს პირობებში გვიხდება მუშაობა. მენშევიკური რეჟიმი შესცვალა ბოლშევიკურმა, ჩვენ კი დავრჩით ისევ ის, რაც ვიყავით: სოციალისტები და რევოლიუციონერები"...

მოდით და გაიგეთ ვისაც შეუძლია! მენშევიზმ-ბოლშევიზმის ისტორიული დავა ალბად სოციალიზმისა და რევოლიუციის საკითხის გარეშე დატრიალებულა, სოციალიზმის და რევოლიუციის ბარძიმ-ფეშხუმი წინეთაც და ახლაც ეს-ერების პარტიის მღვდელმთავრების ხელში ყოფილა დაცული. ვშიშობთ, არავინ დაიჯეროს დღეს ასეთ უსაგნო ფიცს და თავმომწონე სიტყვებს, თუ მათ შესაფერი საქმე—საქმე სოციალისტური და რევოლიუციონური—არ სდევს თან.

⁂

მემარცხ. სოც.-ფედ. „ტრიბუნა"-ში მოთავსებულია გ. მუშიშვილის წერილი: „რეაქცია და მენშევიკები", ავტორი ქართველ მენშევიკების ამიერიდან საისტორიო მოწოდების შესახებ სხვათა შორის სწერს:

„რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობის გამწვავებამ ყოველ ჯურის და რანგის რეაქციონერი გამოაფხიზლა. რევოლიუციის მესაფლავენი გულის ფანცქალით მოელიან საბჭოთა სისტემის დამსხვრევას, გლეხურ პროლეტარულ დიქტატურის მოსპობას. ისინი ფიქრობენ, თუ გაძლიერდა ანტანტა და არ აიღო ხელი რუსეთის საკითხზე ბოლშევიზმის ლიკვიდაცია აუცილებელი გახდება. ანატოლიაში ანტანტის შავი ზრახვების განუხორციელობა რეაქციონერთა ბანაკში ქმნის უაღრესად სანტიმენტალურ სულიერ განწყობილებას, მაგრამ ის გარემოება, რომ რუსეთ-პოლონეთის დამოკიდებულება რთულდება, აძლევს მათ მომავლისაკენ ცქერის საშუალებას.

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორია ამ შემთხვევაში ე. წ. „მუშათა პარტიის"—მენშევიკების პოზიცია, რას ფიქრობს ეს ხალხი, როგორ აფასებს თანამედროვე მომენტს? საითკენაა მიმართული მისი სიმპატია? სდგას თუ არა რევოლიუციის ნიადაგზე?

მენშევიკებს საზოგადოდ ერთი მიზანი, ერთი იდეალი იტაცებს, სახელდობრ—ბოლშევიკურ რუსეთის დამარცხება. მერე რა მოყვება ამას, როგორი შედეგების წინაშე წარვსდგებით ჩვენ ამით, რა ყოფაში ჩავარდება ქართველი ერი, ამას ისინი არ დაგიდევენ, ამის განჭვრეტა არ არის მათი უახლოესი საზრუნავი საგანი. ოღონდ მოისპოს ბოლშევიზმი, მერე ქვაც ნუ დარჩება ქვაზე! ისტორიული ფაქტია, რომ მენშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ბოლშევიზმის შიშით და გადაჭარბებულის სიძულვილით აღიარეს. დღესაც იგივე ბოლშევიკების სიძულვილმა ისინი პრაქტიკულ დასკვნების წინაშე დააყენა, იმპერიალისტებთან შეერთების აუცილებლობა დაუსახა. რას აკეთებენ ჩვენი ემიგრანტები ევროპაში? რათ ჰკარგავს მთელ დღეებს ბ-ნი ჟორდანია ლოიდ ჯორჯთან აუდიენციის მოლოდინში? განა ალაპარაკებს და ამოქმედებს წერეთელ-რამიშვილს მშრომელი ხალხის ბედი და სიყვარული? პასუხი ერთად ერთია—უარყოფითი. ამის საუცხოვო მაგალითს ჟორდანიას მოწოდება წარმოადგენს. მაშინ, როდესაც მე-3 ინტერნაციონალი მთელ ქვეყნის მუშებს დახმარებისაკენ მოუწოდებს, ჟორდანია-ჩხეიძეები ეხვეწებიან ევროპის ბურჟუაზიას და ეპატიჟებიან მას. დიახ, ძნელია ისეთი ხაზის მონახვა, რომელიც ჰყოფდეს ჩვენებურ მენშევიზმს ევროპის იმპერიალიზმისაგან.

ამრიგად, რეაქციის საკითხი მენშევიკურ აზროვნებაში გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს"...

პირველი საქსოვი ფაბრიკა საქართველოში

ამ ორი თვის წინათ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღძრა შუამდგომლობა რუსეთის სათანადო უწყების წინაშე ერთი საქსოვი ფაბრიკის დათმობის შესახებ საქართველოსთვის. ამ საკითხის მოსაგვარებლათ ცეკავშირთან შეთანხმებით გაგზავნილ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა საქმის პრაქტიკულათ განხორციელება. მოსკოვიდან ამ დღეებში მივიღეთ ამხ. ბუდუ მდივანის დეპეშა, საიდანაც სჩანს, რომ საქმე სასურველათ დაგვირგვინებულა, უკვე დატვირთულია ოცი ვაგონი საქსოვი ფაბრიკის აპარატებით, რომელიც ამ მოკლე ხანში ჩამოვა საქართველოში.

აი ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები ამ საკითხის შესახებ:

კომისია მოსკოვში ჩავიდა 14 აგვისტოს. პირველათ კომისიას წინ გადაელობა ზოგადი საკითხი ფორმალური ხასიათისა; რამდენათ დასაშვებია, რომ საბჭოთა რუსეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ თავისი წარმოებითი ზრუნვა გაავრცელოს დამოუკიდებელ საქართველოზე. ამის გამო საბჭოთა საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. ცხაკაიამ 16 აგვისტოს წერილით მიმართა სრულიათ რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და მოსთხოვა მას დაერთო ნება საქართველოში ერთი საქსოვი ფაბრიკის მოწყობილობის გატანისა. ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. საბოლოვოთ კომისიას ნება დართო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გაეტანა საქართველოში ოთხი აპარატი. ამ დადგენილების თანახმათ კომისიას უფლება მიეცა გამოიტანოს:

2 გასაჩეჩი მანქანა.
2 გასაწეწი მანქანა.
1. კვანძებიდგან გამწმენდი მანქანა.
8 დასავარცხნი მანქანა.
4 ან 5 სართავი მანქანა „სელფაქტორის" სისტემისა.
1 მექანიკური საქსველის გასაჭიმავი მანქანა.
40 ან 50 საქსოვი საფეიქრო დაზგა.
2 საპარსავი მანქანა.
1 ჰიდრავლიური პრესი.

გასარეცხი, მოსათელი და საპრეტურო მანქანების თითო ნიმუში. აგრეთვე ნება მიეცა კომისიას გამოიტანოს სხვა და სხვა წვრილმანი: ლურსმანი, მავთული, შოლტები და სხ.—100 ფუთი, კაუსტიკური სოდა—200 ფუთი, ცემენტი—5,000 ფ. და სხ. და სხ. და სხ.

ორი ვაგონის დუბლიკატი უკვე მიღებულია თბილისში, დანარჩენი ვაგონებიც გზაში უნდა იყოს.

ამ მანქანებს შეუძლიათ დაამზადონ დღეში 50 ფუთამდე ძაფი და თუ ორი რიგათ ვიმუშავებთ, მაშინ 100 ფუთამდე, როგორც საქსველისთვის, ისე მისაქსოვლისთვის. ამით დამზადდება დღეში 2000—4000 არშინი სხვა და სხვა შალეული ქსოვილი (მაუდი, საშინელო, სასაბნო და სხვა ქსოვილები) ე. ი. წლიურათ ერთ მილიონ არშინამდე ორ—განიანი ქსოვილი.

ასეთი დიდი საქმე სრულიად საღათ და მარტივათ გადაწყდა. თუ მოსკოვის მპყრობლები ნებას არ აძლევდენ აქაურ მწარმოებლებს თავის ხარჯზე მოეწყოთ საფეიქრო წარმოება, ახლა საბჭოთა მოსკოვი უანგაროთ გზავნის აქ საკუთარ ფაბრიკებს. სრული იმედია, საქართველოს მშრომელი ხალხი ღირსეულათ დააფასებს ამ ძვირფას ძღვენს და შრომის ნაყოფიერების ძლიერი გაზრდით ეცდება თავის მოძმე რუსეთის პროლეტარიატთან ერთად გამარჯვებული გამოვიდეს სამეურნეო ფრონტზე.

კომინტერნის მესამე კონგრესი

8 ივლისის სხდომა.

სხდომა იხსნება ამხ. კოლაროვის თავმჯდომარეობით დღის წესრიგში არის ახალგაზრდობის ორგანიზაციულად შეკავშირების საკითხი. მომხსენებლად გამოდის ამხ. **მიუნცენბერგი.** ორატორი თავის მოხსენების დასაწყისში არკვევს ეკონომიურ პირობებს, რომლებშიდაც ეხლა მუშათა ახალგაზრდობას უხდება ცხოვრება. თუ წინედ მოწაფეობა ნიშნავდა მომავალში მოზარდისათვის მის დამოუკიდებლობას, ამჟამად იგი მოწაფეობის პირველ დღიდანვე სავსებით გარკვეულათ უკავშირებს თავის ბედს სახელოსნოს და ფაბრიკას, როგორც დაქირავებული მუშა. მოზარდთა სამუშაო ქირა ძალიან მცირეა. ომმა კიდევ უფრო გაუარესა მათი შრომის პირობები. უკანასკნელ წელს ბევრს ქვეყნებში მოზარდთა სამუშაო ქირა უფრო ძირს ეცემა, ვიდრე ქირა მოზრდილ მუშების. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ ომმა და მის მიერ გამოწვეულმა კრიზისმა ძლიერ გაამრავლეს გაყვლეფილ მუშათა ახალგაზრდობის რიგები. მოზარდ მუშათა არმია განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია დასავლეთის ქვეყნებში, სადაც ისინი ხშირად შეადგენენ მთელი ქვეყნის მუშათა მოსახლეობის თითქმის ნახევარს. ამჟამად გერმანიაში მოზარდ მუშათა რიცხვი 4 მილიონამდის აღის. საქმეთა ასეთი მდგომარეობა ბუნებრივად ხელს უწყობს მოზარდ მუშათა შორის კომუნისტურ იდეიების გავრცელებას და მათ ორგანიზაციულად შეკავშირებას კომუნიზმის დროშის ქვეშ.

შემდეგ ორატორი ზოგად მიზეზებს გარდა, რომელნიც აუცილებლად ხდიან, მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ახალგაზრდობაში მუშაობას, აღნიშნავს სამ მომენტს, რომელიც ამ მუშაობას კომუნისტურ მოძრაობისათვის ფრიად მნიშვნელოვანად ხდის. საჭიროა გამოვიყენოთ,—ამბობს ორატორი,—ახალგაზრდობის ენტუზიაზმი, აღვზარდოთ და მოვამზადოთ მუშაკები, რომელთაც ასე საჭიროებენ ახალგაზრდა კომუნისტური პარტიები, რომ იმათ სახით შევიძინოთ ძვირფასი ძალა არალეგალურ მუშაობისათვის. ახალგაზრდობის ორგანიზაციის ამოცანა არ განისაზღვრება პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების ჩაგდების მომენტითაც. რუსეთის გამოცდილებამ გვიჩვენა, როგორი სამსახური შეუძლია გაუწიოს კომუნისტურად შეკავშირებულმა ახალგაზრდობამ პროლეტარიატის დიქტატურას. საკმარისია გავიხსენოთ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მუშაობა სოციალურ აღზრდის და წითელ არმიის დახმარების საქმეში და სხვ.

ახალგაზრდობის ორგანიზაციის მნიშვნელობას სოციალურ ბრძოლაში დიდ ანგარიშს უწევენ მუშათა კლასის ყველა მტრები და იმის და საპყრობად სწარმოებს გაცხარებული ბრძოლა. ბურჟუაზიული სახელმწიფოები ცდილობენ გავლენა იქონიონ ახალგაზრდობაზე და ორგანიზაციულად შეაკავშირონ იგი არა მარტო სკოლისა და ეკლესიის საშუალებით, არამედ აგრეთვე ყოველგვარ ბურჟუაზიულ სასპორტო საზოგადოებებისა და წრეების შექმნით, რომელნიც გამწვავებულ სოციალურ ბრძოლის დროს ხშირად გამოდიან მუშათა კლასის მტრებად. 2 ინტერნაციონალიც ყოველ ზომას ხმარობს მუშათა ახალგაზრდობის დასაპყრობად. უკანასკნელმა იმან გადადგა ნაბიჯი ინტერნაციონალურ ყვითელ ახალგაზრდობის კავშირის შესაქმნელად, რომელსაც ეხლა უკვე ბევრ ქვეყნებში ძალიან მსხვილი ორგანიზაციები აქვს. 2 ნახ. ინტერნაციონალმა თავის აღმოცენებასთან ერთად შექმნა ახალგაზრდობის 2 ნახ. ინტერნაციონალი. ჩვენ არ უნდა გავაზვიადოთ ჩვენი მოწინააღმდეგეთა ძალები, ჩვენ შეგვიძლია სისწორით გავარკვიოთ მისი გავლენის საზღვრები, მაგრამ ამასთანავე დაუშვებელია, რომ ისინი ჩვენ არაფრად ჩავაგდოთ. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მასთან დაუზოგველი და სასტიკი ბრძოლა. ეს მით უფრო ადვილია, რომ მუშათა ახალგაზრდობა თვითონ მიისწრაფის კომუნისტურ ინტერნაციონალისაკენ. ყოველგან, სადაც კი იყო აგიტაციის პატარა თავისუფლება, ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი სწრაფად იპყრობდა ახალგაზრდა მუშების უმრავლესობას. ამას საუკეთესოდ ამტკიცებს ის გარემოება, რომ ინტერნაციონალის გავლენა ახალგაზრდობაზე გაიზარდა 1920 წლის შემოდგომიდან ორგანიზაციათა რიცხვი, რომელნიც ინტერნაციონალში შედიოდნენ, რამოდენიმე თვის განმავლობაში გაიზარდა 12-იდან 50-ამდის 800.000 წევრით. საფრანგეთში, სადაც ცენტრისტები ხელმძღვანელობდნენ ახალგაზრდობის კავშირს, წითელმა ინტერნაციონალმა შესძლო ყველა კავშირების 90 პროც. დაპყრობა. ჩეხო-სლოვაკიაში, მცირე რიცხვის გამოკლებით, ახალგაზრდობის კავშირი მთლიანად გადავიდა კომუნისტთა ბანაკში. კომუნისტურ მოძრაობის გავლენას და ზრდას ახალგაზრდობის შორის ამტკიცებს ის რეპრესიები, რომელნიც თავს ატყდება წითელ კავშირებს ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. საფრანგეთის ბურჟუაზიული მთავრობა ფიქრობს გამოსცეს სპეციალური კანონი. ახალგაზრდობაში კომუნისტურ მოძრაობის გავრცელების წინააღმდეგ, ბავარიაში კი კარას რეაქციონური მთავრობა მივიდა იქამდის, რომ დაკეტა საყმაწვილო ჟურნალი, რომელსაც სცემდა კომუნისტური კავშირი, და ამას იმით ამართლებდა, რომ ჟურნალი „სოციალურ მძულვარებას ამწვავებსო".

ახალგაზრდობის მუშათა მოძრაობა, რომელიც ომამდის ჩაისახა შუა ევროპაში კაპიტალისტურ ექსპლოატაციასთან საბრძოლველად, ომის დროს გადაიქცა რევოლიუციონურ პროპაგანდის კერად იმპერიალისტურ ჟლეტვის წინააღმდეგ და თანდათან შეიქმნა ძლიერ კომუნისტურ მოძრაობის ერთ-ერთ შტოდ. თავად ცხადია, რომ ახალგაზრდათა შორის კომუნისტურ მოძრაობის დამოუკიდებელი განვითარება იწვევდა ყოველ ქვეყანაში წლოვანების მიხედვით ორ პარალელურ კომუნისტური პარტიის შექმნის საშიშროებას. ამის ასაცილებლად კონგრესზე წამოყენებულ თეზისებში უმთავრესი ყურადღება ექცევა დებულებას, რომლის თანახმად ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციები იმყოფებიან სათანადო კომუნისტურ პარტიების სრულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობის ქვეშ. ახალგაზრდობის ინტერნაციონალის წინაშე სდგას შემდეგი ამოცანები: უპირველესად ყოვლისა, კავშირები უნდა გაფართოვდნენ, გადაიქცნენ მასიურ ორგანიზაციებად და შემოიკრიბონ პროლეტარულ ახალგაზრდობის ფართე წრეები; მეორედ, აუცილებლად უნდა შეიქმნეს და გამაგრდეს ახალგაზრდობის ორგანიზაციები იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ძალიან სუსტად ვითარდებიან (ინგლისი და ამერიკა); მესამედ კავშირების მუშაობა უნდა გავრცელდეს წვრილ გლეხობაზედაც, რომლის ახალგაზრდობა ადვილად ითვისებს კომუნისტურ იდეებს. ყველა ამისათვის საჭიროა სპეციალური ორგანოები, რომელნიც ემორჩილებიან კომპარტიას პოლიტიკურ და ტაქტიკურ საკითხებში. კავშირების ორგანიზაციური თვითმოქმედება არის აუცილებელი და მიზანშეწონილი იმის გამო, რომ ახალგაზრდობაში მუშაობისათვის საჭიროა სულ სხვა მეთოდები, რომელთაც მთელი პარტია ვერ გაატარებს სავსებით.

კომუნისტურმა პარტიებმა ყოველგვარ საშუალებებით მხარი უნდა დაუჭირონ ახალგაზრდობის კავშირს. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად მეორე კონგრესის დადგენილებისა, მხოლოდ პარტიების მცირე რიცხვი აქცევდა ყურადღებას ამ სერიოზულ საქმეს. ეხლანდელ კონგრესის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაევალოს ყველა პარტიებს ყოველ მიზეზს გარეშე იმუშაონ ახალგაზრდათა შორის. ამ კავშირების მხარის დაჭერა ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი: კომპარტია აგზავნის კავშირის კომიტეტში თავის წარმომადგენელს, რითაც უზრუნველჰყოფს პარტიის განუწყვეტელ გავლენას. თავის მხრით, კავშირის წევრი იქნება ამ უკანასკნელის წარმომადგენლად პარტიაში, რაც მჭიდროდ აერთებს პარტიას კავშირთან; პარტიის პრესაში კვირაში არა ნაკლებ ერთისა უნდა იბეჭდებოდეს ახალგაზრდობის სპეციალური გვერდები. ახალგაზრდობისათვის უნდა მოეწყოს პარტიული სკოლები და კურსები; იმათამ უნდა მიიღონ მატერიალური და ფინანსიური დახმარება. კომუნისტურ ახალგაზრდობის მხარის დაჭერა ინტერნაციონალურ მასშტაბით უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტი მთელ თავის ავტორიტეტის სიძლიერეს გამოიყენებს იმისათვის, რომ თვითეულმა პარტიამ ყოველ მიზეზს გარეშე შეასრულოს თავისი ვალდებულებანი ახალგაზრდათა კავშირის მიმართ.

დასასრულ ამხ. მიუნცენბერგს მოჰყავს ტროცკის მიერ გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ვინაიდან შუა ევროპის მოზრდილი მუშათა მოსახლეობა მოიქანცა და ამასთან ერთად იგი მოწამლულია სოციალ-დემოკრატიულ იდეებით, ორგანიზაციულად შეკავშირება პროლეტარულ ახალგაზრდობისა, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიკარებიათ შეთანხმების საწამლავი, წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. ახალგაზრდობის შეკავშირების საკითხი, არის ფრიად სერიოზული საკითხი და ამხ. მიუნცენბერგი დარწმუნებულია იმაში, რომ კონგრესი მიაქცევს ამას ჯეროვან ყურადღებას.

ამხ. მიუნცენბერგის მოხსენების შემდეგ იწყება კამათი. პირველი გამოდის ამხ. **ფრეილიხი** (გერმანია).

კომუნისტურ ახალგაზრდობის საერთაშორისო კავშირის მიერ წამოყენებულ თეზისებს,—ამბობს ორატორი,—აქვთ დიდი მნიშვნელობა იმის გამო, რომ კავშირი უარს ამბობს პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე და ექვემდებარება კომუნისტურ ინტერნაციონალის პოლიტიკურ ჰეგემონიას. ამხ. ფრეილიხი აღნიშნავს, რომ ომამდის და განსაკუთრებით ომის დროს მუშათა ახალგაზრდობა იყო რევოლიუციონური და, იმის მეოხებით, ომის დროს მოწყობილ იქნა ბევრი ინტერნაციონალური ჯგუფები. ახალგაზრდობის კავშირმა აწარმოვა დიდი მოსამზადებელი მუშაობა ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიებისა და ინტერნაციონალისათვის. კავშირი შეიქმნა ერთი საუკეთესო ორგანიზაციათაგანი, რომლებიც ზრდიან მუშათა მოძრაობის მომავალ კადრებს. ჩვენთან, მაგალითად, გერმანიაში საუკეთესო პარტიული მუშაკები გამოვიდნენ ახალგაზრდობის ორგანიზაციის წრეებიდან. ჩვენ ყველამ ვიცით გამოცდილებით, რომ ჩვენი მოძრაობის პარტიული მუშაობის ზოგიერთ დარგებს უკეთესად და უფრო წარმატებით ასრულებს ახალგაზრდობა, ვიდრე პარტია. მაგალითად: არალეგალური მუშაობა და პროპაგანდა არმიაში. ჩვენი პარტიების დახმარებით და სავსებით მათთან შეთანხმებით, კავშირები შესძლებენ მომავალშიაც ამ მუშაობის შესრულებას. ამისათვის საჭიროა, რომ პარტიამ გაიცნოს ახალგაზრდობას თავისი მომავალი მუშაობის გეგმა, ვინაიდან ახალგაზრდობას ყოველთვის აქვს დიდი გავლენა პარტიის რევოლიუციონურ გამოსვლების სისრულეში მოსაყვანად. საჭიროა, რომ პარტია და ინტერნაციონალი მხარს უჭერდნენ ახალგაზრდობას.

თავმჯდომარე ამხ. კოლაროვი აცხადებს, რომ კამათი კომუნისტურ ახალგაზრდობის საერთაშორისო კავშირის მოხსენების შესახებ ამოწურულია და ვინაიდან ზოგიერთმა დელეგაციებმა შემოიტანეს შესწორებები თეზისებში, პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა დაინიშნოს კომისია ამხ. ფრეილიხის, ბუხარინის, შაცკინის, მიუნცენბერგის და კოლაროვის შემადგენლობით. ამ წინადადებას ერთხმად იღებენ. შემდეგ კონგრესი გადადის დღის წეს-რიგის შემდეგ მუხლზე: ქალთა მოძრაობის შესახებ მოხსენებაზე.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. ცეტკინს.

ქალთა შორის მუშაობის საერთაშორისო სეკრეტარიატის მინდობილებით მე მინდა გაგაცნოთ ამ ორგანოს მოქმედების შედეგები; ამასვე მინდა დავუკავშირო ამას წინეთ შეკრებილი კომუნისტ ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციის მუშაობა. იმ წლის განმავლობაში უნდა აღინიშნოს ქალთა შორის რევოლიუციონურ მოძრაობის დიდი წარმატება, როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთში. სამწუხაროდ, მე უნდა აღვნიშნო, რომ ბევრს ქვეყნებში ქალთა შორის მოძრაობა მიმდინარეობდა კომუნისტური პარტიების დაუხმარებლად. გამოცდილებით ვიცით ჩვენ, რომ ქალი თამაშობს რევოლიუციაში ისეთსავე როლს, როგორც პროლეტარი მამაკაცი. ჩვენ დროის დიდ ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლებში, რომელნიც სწარმოებენ არა რეფორმებისათვის და მუშათა კლასის მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესობისათვის არამედ კაპიტალისტურ საზოგადოების საბოლოოდ დასამხობად, დედაკაცმა დაიწყო აქტიური მონაწილეობის მიღება, ამასთან მამაკაცების და დედაკაცების ძალთა რაოდენობა ძლიერ შეიცვალა. ომამდის ევროპაში იყო ზედმეტი 6 მილიონი დედაკაცი, ეხლა კი არის 15 მილიონი. თითქმის ბალკანეთშიც, სადაც მამაკაცები ყოველთვის სჭარბობდნენ, დედაკაცები მეტს ნაწილს შეადგენენ. ომისა და ამ ძალთა ურთიერთობის მეოხებით დედაკაცი ჩაბმულია მრეწველობაშია და ამით, რასაკვირველია პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაშიაც არა მარტო პროლეტარი—დედაკაცი, არამედ ბურჟუა დედაკაციც ვერ იქნება პასიური ამ გაჩაღებულ ბრძოლაში. კომუნისტურმა პარტიებმა მამაკაცებთან ერთად რევოლიუციონური სული უნდა შთაბერონ დედაკაცებს. ამ მხრივ კომინტერნის აღმასრულებელმა კომიტეტმა ყოველივე საშუალებები იხმარა ქალთა მასების რევოლიუციონურ ბრძოლაში ჩასაბმელად. და ამხ. ზინოვიევი იყო პირველი, რომელმაც გაიგო, რომ საჭიროა დაგვეხმარონ ჩვენ, რომელნიც შევადგენთ მთელი კაცობრიობის დიდ ნახევარს. აღმასრულებელმა კომიტეტმა აღმოუჩინა დახმარება სხვა და სხვა ქვეყნებში კომუნისტურ ქალების ცალკე ავანპოსტებს. მაგალითად შარშან სხვადასხვა ქვეყნებში მობილიზაციით იყვნენ გაწვეული კომუნისტი-ქალები დედაკაცებს შორის მუშაობის გასაწევად. როგორც რუსეთის პარტია, ისე სპარტაკის კავშირი თავიდანვე მუშაობდნენ ქალთა მოძრაობაში მამაკაცებთან ერთად. აგრეთვე ბულგარეთშიაც ქალთა მოძრაობა შეთანხმებულია საერთო პროლეტარულ მოძრაობასთან. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კომუნისტ ქალთა მეორე კონფერენციის შემდეგ ასევე იქნება დაყენებული ქალთა მოძრაობა ყველა ქვეყნებში. მე-2 კონფერენცია წარმოადგენს დიდ ნაბიჯს პირველთან შედარებით. პირველში მონაწილეობას იღებდა 16 ქვეყნიდან 20 დელეგატი-ქალი, მეორეში—28 ქვეყნიდან 82 დელეგატი ქალი, ამათ რიცხვში გადამწყვეტი ხმა ჰქონდათ 61 ქალს. დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ამ კონფერენციას იმიტომ, რომ მასში მონაწილეობა მიიღო პირველად აღმოსავლეთის ქალებმა. აღმოსავლეთის ხალხების გაღვიძების ფაქტი და იქაური ქალების რევოლიუციონურ გზაზე დადგომა ნიშნავს იმას, რომ რევოლიუციონურმა შეგნებამ აღმოსავლეთში დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ ამ წლის განმავლობაში. კონფერენცია ყოველთვის თავის მუშაობას უთანხმებდა 3 ინტერნაციონალის მისწრაფებას. ქალთა მოძრაობის ორგანიზაციულ ფორმის განხილვის დროს კონფერენცია ხელმძღვანელობდა იმ აზრით,

რომ არ არსებობს ცალკე ქალთა მოძრაობა, არამედ არის მხოლოდ ერთი პროლეტარული ორგანიზაცია და საერთო მიზანი. მაგრამ განსაკუთრებულ პირობების გამო, რომელშიდაც პროლეტარული ქალი ცხოვრობს, კონფერენციამ დაადგინა: დაარსდეს ყველა პარტიებში ცალკე განყოფილებები ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად. ეს განყოფილებები უნდა აწარმოებდნენ პარტიასთან იდეოლოგიურად და პრაქტიკულად შეთანხმებული მუშაობას. ეს ორგანოები აწარმოებენ სიტყვიერათ და წერილობით პროპაგანდას, აგიტაციას და მთელი საორგანიზაციო მუშაობას ქალთა შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ქალთა მასების აღზრდას, ვინაიდან ამისაგან იქნება დამოკიდებული: ქალი რევოლუციას გაყვება, თუ მის წინააღმდეგ წავა. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ შეიდემანელები ყოველთვის ისარგებლებენ ქალების შეუგნებლობით და კონსერვატიულობით კონტრ-რევოლუციონურ მიზნების განსახორციელებლად. კონფერენცია იმ აზრის იყო, რომ კომუნისტურმა პარტიებმა უნდა აღზარდონ პროლეტარი-ქალი არა მარტო ლეგალურ, არამედ არალეგალურ სამუშაოთაც. იგი ისე უნდა აღიზარდოს, რომ ის მუშებთან ერთად იღებდეს მონაწილეობას დემონსტრაციებში, გაფიცვებში, და აგრეთვე იარაღით ხელში მონაწილეობდეს პროლეტარიატის ბრძოლაში. კონფერენციამ მიაქცია აგრეთვე ყურადღება იაჩეიკების მოწყობას ყველა ორგანიზაციებში, სადაც ქალები უმრავლესობას შეადგენენ. მე ვსთვლი აუცილებლად, რომ ვიყოლიოთ ინტერნაციონალური კორესპონდენტები კავშირის დასამყარებლად საერთაშორისო სეკრეტარიატთან მოსკოვში. ამას კიდევ უნდა დაუმატო, რომ საზღვარ გარეთ უნდა არსებობდეს სეკრეტარიატის დამხმარე ორგანო. სეკრეტარიატის მოსკოვში დარჩენის აუცილებლობა აიხსნება არა მარტო კომინტერნის აქ არსებობით, არამედ აგრეთვე იმითაც, რომ სეკრეტარიატს აქ ადვილად შეუძლია ისარგებლოს რუსეთის ქალთა კომუნისტური მოძრაობის გამოცდილებით და პრაქტიკით.

რუსეთი არის დიდი ისტორიული მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს ჩვენ, რომ პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობის გარეშე შეუძლებელია მუშა-ქალის განთავისუფლება. იგი აგრეთვე გვიჩვენებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ქალების დაუხმარებლად ვერ განხორციელდება. დედაკაცის ფართო მონაწილეობა რევოლუციონურ მოძრაობაში ნიშნავს ამ უკანასკნელის გაძლიერებას და გამდიდრებას. საბჭოთა რუსეთში ქალი მონაწილეობს იმდენს, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ ცხოვრებაში, იტანს ყველა გაჭირვებას, როგორც ბრძოლის ისე სამეურნეო ფრონტზე. ჯერ კიდევ სტეპნიაკი ამბობდა, რუსეთში რევოლუციონურ მოძრაობის საფუძველი არის დედაკაცი, მამაკაცის თანაბრძოლი. რევოლუციონური რუსეთის ეს ტრადიცია უნდა იქმნეს ჩვენ ლოზუნგად დასავლეთში და აღმოსავლეთში. ჩვენ ქალები უძლიერესი მოძულენი ვართ ბურჟუაზიულ წყობილების. ჩვენ ვიცით აგრეთვე სამოქალაქო ომის ყველა საშიშროებანი, ყველა სისასტიკენი, მიუხედავად ამის ჩვენ ვამბობთ: წინ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, წინ კომუნიზმისათვის!

კოლიარი (საფრანგეთი) ამბობს, რომ საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას ჯერ არაფერი გაუკეთებია პროლეტარ-ქალთა ორგანიზაციის მოსაწყობად. როცა ჩვენ პარტიას დახმარება ვთხოვეთ, მან ამ მუშაობის საწარმოებლად დანიშნა ქალი, რომელიც იმავე დროს მუშაობდა მამაკაცებშიდაც, ჩვენ მაშინ გადავწყვიტეთ ცალკე ქალ-განყოფილების შექმნა, რომელსაც ექნებოდა სპეციალური ამოცანა ქალთა შორის მუშაობის მოსაწყობად. სამწუხაროდ, ჩვენმა ამხანაგებმა საკმარისად ვერ შეიგნეს ქალთა შორის მუშაობის მთელი მნიშვნელობა. შარშანდელმა მასის მოძრაობამ გვიჩვენა, რომ იქ, სადაც ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, გაფიცვა მიმდინარეობდა უფრო ნაყოფიერათ. დედაკაცმა იცის, რომ მისი პირადი განთავისუფლება დაკავშირებულია პროლეტარიატის განთავისუფლებასთან. აუცილებლად საჭიროა შეიქმნეს საფრანგეთში სპეციალური საგიტაციო ორგანო იმის მსგავსად, როგორც რუსეთში, გერმანიაში და ბულგარეთში არსებობენ დედაკაცების კომუნისტურ პარტიის რიგებში ჩასაბმელად. მაშინ, როცა პარიზში გამოდის პარტიის ორი ყოველდღიური ორგანო, (ერთი კომუნისტურ ახალგაზრდობის ორგანოა) კომუნისტ-ქალებს არ აქვთ არც ერთი ბეჭდვითი ორგანო. თუმცა კომუნისტები სცემენ „დედაკაცის ხმას“, მაგრამ იგი არ ეკუთვნის პარტიას. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ კომინტერნის აღმასრულებელმა კომიტეტმა აიძულოს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რათა მან მოაწყოს მუშაობა— ქალთა შორის და მოგვცეს ჩვენ, კომუნისტ-ქალებს, შესაძლებლობა ეს მუშაობა ვაწარმოოთ მსოფლიო მასშტაბით. ეს შექმნის საჭირო პირობებს რევოლუციის გამარჯვებისათვის და ჩვენ ავიცდენთ თავიდან იმ სამწუხარო შეცდომას, რომელნიც ჩვენ დაუშვით ომის დროს.

კოლონტაი. ამხ. ცეტკინმა უკვე დაგვისურათა ქალთა კომუნისტურ მოძრაობის ამოცანები და დამრჩენია სათქმელად მხოლოდ ცოტა რამ. უმთავრესი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ კომუნისტურმა პარტიებმა გავლენა იქონიონ ფართო მასებზე. ვისგან შესდგებიან ეს მასები, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან ჩაბმულნი პოლიტიკურ ცხოვრების სფეროში? უმთავრესად ქალთაგან, ვინაიდან მამაკაცები ასე თუ ისე შეკავშირებულნი არიან პოლიტიკურ პარტიებში. აი დედაკაცების ეს შეუკავშირებლობა დიდად აადვილებს კომუნისტურ პროპაგანდის ამოცანებს მათში.

როგორ უნდა მივუდგეთ ამ მასებს? კომუნისტური პარტია აცხადებს, რომ მისი კარები ყველასათვის ღიაა. მაგრამ იმისათვის რომ მუშა-ქალი მოვიზიდოთ, საჭიროა, რომ პროპაგანდისტური მეთოდები შეუთანხმოდ დედაკაცის ცხოვრების განსაკუთრებულ სოციალურ და ოჯახურ პირობებს. აი რატომ არის აუცილებელი, იყოს ყოველ პარტიაში სპეციალური აპარატი. თუ მამაკაცს შესაძლებელია მივაპყროთ სიტყვით, დედაკაცებში ჩვენ პროპაგანდა უნდა ვაწარმოოთ საქმით, შესაძლებელია ეს გამოიხატებოდეს წვრილმანებშიც.

კომუნისტური პარტიები დაინტერესებულნი არიან დედაკაცების მუშაობის ჩაბმაში არა მარტო ძალაუფლების დაპყრობითი ბრძოლის დროს, არამედ ამის შემდეგაც. პროლეტარიატის დიქტატურის დროს, როცა დადგება საწარმოო ძალთა განვითარების საკითხი, მუშა და გლეხი-ქალების შემოქმედებითი ძალები უნდა გამოყენებული იქნენ სამეურნეო აღმშენებლობის დარგში. მხოლოდ მაშინ, როცა დედაკაცი ამ შემოქმედებითი მუშაობაშია, მოხდება მისი საბოლოო ემანსიპაცია. ჩვენთან, რუსეთში, ქალთა შორის მუშაობის პარტიული აპარატები არა მარტო ასრულებენ საორგანიზაციო და სააგიტაციო მუშაობას, არამედ ახდენენ გავლენას სახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე, ყოველთვის, როცა ესა თუ ის საკანონმდებლო აქტი ეხება დედაკაცის დედობრივ ინტერესებს. ჩვენი ქალთა განყოფილებანი აგრეთვე ფართოდ სარგებლობენ საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით შრომის დაცვის, სოციალისტურ უზრუნველყოფის და სხვა დარგებში. დავასუსტეთ ჩვენ ამით საბჭოთა ხელისუფლება? არა, ჩვენ გავაძლიერეთ და გავამდიდრეთ იგი, რასაც სამი წლის პრაქტიკა ნათლად ამტკიცებს. (ტაში).

თავმჯდომარე ამხ. კოლაროვი კენჭს უყრის რეზოლუციას ქალთა შორის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შესახებ. რეზოლუციას ერთ ხმად ღებულობენ.

9 ივლისის საღამოს სხდომა.

სხდომა იხსნება ამხ. ჯენარის (იტალია) თავმჯდომარეობით.

მოხსენებისათვის კომისიის მუშაობის შესახებ ტაქტიკაზე, სიტყვა ეძლევა ამხ. რადეკს.

ამხ. რადეკი ამტკიცებს, რომ უმთავრესად კომისია ირკვევდა ჩეხო-სლოვაკიის და გერმანიის საკითხებს. გამოირკვა, რომ ჩეხო-სლოვაკიაში მუშათა კლასმა თავის გამოსვლების დროს გამოიჩინა დიდი რევოლუციონური აქტიურობა, მაგრამ იმის რიგებში აღმოჩნდა ბევრი ცენტრისტული ტენდენციები. თვით ამხანაგი შმერალი, რომელმაც მოისურვა მოსკოვში მოსვლა, არ უარყოფს. კომისია დარწმუნდა იმაში, რომ შმერალს სურს აღმასრულებელ კომიტეტის ნებისყოფის აღსრულება. გერმანიის შესახებ კომისია აღნიშნავს რომ მარტის გამოსვლა ნიშნავს ნაბიჯის გადადგმას წინ გერმანიის მუშათა კლასის მიერ რევოლუციონურ მოძრაობაში, ვინაიდან ამ მოძრაობაში, უპირველესად ყოვლისა, მონაწილეობას ღებულობდნენ და გმირულად იბრძოდნენ მუშათა რამდენიმე ასეული ათასები, და, მეორედ, პარტიამ შესძლო მოძრაობის სათავეში მოქცევა. თეზისების დანარჩენი შესწორებები წმინდა სარედაქციო ხასიათის არიან. ამხ. რადეკი კომისიის სახელით წინადადებას აძლევს კონგრესს მიიღოს ეს თეზისები ერთხმად. გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია განცხადებას აკეთებს მთელი ჯგუფის სახელით, სადაც აღნიშნავს, რომ ის არ ეთანხმება ტაქტიკის შესახებ მიღებულ თეზისებს, რომელნიც, იმათი აზრით, არიან იმ დებულებათა გაგრძელება, რომლებიც იქნენ მიღებული მეორე კონგრესზე და თავის შინაარსით დიდ შესაძლებლობას სტოვებენ, რომ კომინტერნში შეიპარონ მერყევი და თითქმის გამცემი ელემენტებიც.

სიტყვა ეძლევა ამხ. ზინოვიევს.

რუსეთის დელეგაციის სახელით ის წინადადებას იძლევა, მიიღონ რეზოლუცია, რომელიც გვიჩვენებს, რომ კონგრესმა საკმაოდ გულდასმით განიხილა გერმანიის საკითხი და დაასკვნა, რომ გერმანიის პარტიის მთლიანობა ამ ჟამად უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე და ამიტომ კონგრესი მოუწოდებს გერმანიის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, უწინარეს ყოვლისა თავაზიანად მოეპყროს ყოფილ ოპოზიციას. მეორეს მხრით, კონგრესი მოითხოვს ყოფილ ოპოზიციისაგან მისი ორგანიზაციის დაუყონებლივ დათხოვნას და კონგრესის დადგენილებების უყოყმანოდ შესრულებას. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ყოფილ ოპოზიციის წევრთაგანი არ მოისურვებს დამორჩილებას, ის დაუყონებლივ გამორიცხული იქნება პარტიიდან და ინტერნაციონალიდან.

შემდეგ ამხ. ზინოვიევს მოყავს ციტატა წერილიდან, რომელიც გამოგზავნილია აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლის მიერ გერმანიაში, საიდანაც სჩანს, რომ ოპოზიცია მუშაობს განხეთქილების მოსახდენად. ამ დღეებში კიდევ შესდგა ოპოზიციის კრება, სადაც გამოვიდნენ მოხსენებებით დეიმიგი და ლევი. ისინი აღნიშნავდნენ, რომ კონგრესი მიდის უფრო და უფრო ანარქო-სინდიკალისტურ მიმართულებისაკენ, რომ ის ცდილობს დაუახლოვდეს გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიას, ამის გამო დაადგინეს, რომ ოპოზიციამ უნდა გაამაგროს თავისი ორგანიზაციები. ლევიმ ძალიან გრძელ მოხსენებაში აღნიშნა, რომ რუსეთის პარტია ჰაერშია ჩამოკიდებული. ასეთია წერილის შინაარსი.

დასასრულს ამხ. ზინოვიევი მიაქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ გერმანიაში განხეთქილების საშიშროება, უეჭველია, მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა მიუხედავად ამისა უნდა მიიღოს ყოველივე ზომები, რომ განხეთქილება არ მოხდეს. მეორე მხრით, აღმასრულებელი კომიტეტი გულდასმით ადევნებს თვალყურს, რა ხდება გერმანიაში, და თუ ოპოზიცია არ დაემორჩილა აღმასრულებელ კომიტეტს, მის მიმართ იქნება მიღებული გადამჭრელი ზომები. ამხ. ზინოვიევი დარწმუნებულია იმაში, რომ დელეგაცია პარტიის მემარჯვენე ნაწილიდან უთუოდ შეასრულებს კონგრესის ყველა დადგენილებას და მოიხმარს მთელ თავის გავლენას, რომ პარტიაში განხეთქილებას ადგილი არ ექნეს.

რეზოლუციის საკითხის გამო, რომელიც შეიტანა რუსეთის დელეგაციამ, გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ოპოზიციის სახელით გამოდის ამხ. მალცანი. თავის თავად ცხადია, ამბობს იგი, ჩვენ ღრმად დაინტერესებული ვართ კომუნისტურ პარტიის ერთიანობის შენარჩუნებაში. კონგრესის მიერ მიღებულ თეზისებს ტაქტიკის შესახებ ჩვენ უეჭველად ავასრულებთ. მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა უკანასკნელ დროს, შემოტევანი მენშევიკურ პარტიების სოციალ-დემოკრატების და დამოუკიდებლების მხრივ, კლასთა წინააღმდეგობათა გამწვავება გერმანიაში, ყველა ეს დაჟინებით გვიკარნახებს პარტიის მთლიანობის შენახვის აუცილებლობას. მაგრამ რუსეთის დელეგაციის განცხადება, იმის აზრით, ცალმხრივია, და ამიტომ იგი აყენებს მეორე რეზოლუციას, რომელშიდაც ოპოზიციისადმი მიმართული მოთხოვნილება რამდენიმედ შერბილებულია. პარტიის სრულ და რამდენად შესაძლებელია სწრაფ გაერთიანების მიზნით ის წინადადებას იძლევა ხმა მისცენ ამ რეზოლუციას.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ოპოზიციის სახელით ამხ. ტალჰეიმერი აცხადებს, რომ რუსეთის დელეგაცია ლოღიკურად მსჯელობს, მაშინ როცა ოპოზიციის რეზოლუცია გაურკვეველი და ბუნდოვანია. ამიტომ ის წინადადებას იძლევა მიიღონ რუსეთის დელეგაციის რეზოლუცია.

ამხ. ზინოვიევი აცხადებს, რომ შემოვიდა განცხადება, რომ ოპოზიცია არ მოითხოვს, რომ მათ რეზოლუციას კენჭი ეყაროს, ისინი თხოულობენ მხოლოდ მისს ოქმში შეტანას. თუ, ამბობს შემდეგ ამხ. ზინოვიევი, ამხანაგები ოპოზიციიდან, რომელნიც ეხლა საზღვარ-გარეთ არიან, უეჭველად დაემორჩილებიან კონგრესის დადგენილებებს, მით უკეთესი. მაგრამ თუ ისინი გაატარებენ სხვა ხაზს, რის საბუთს იძლევა დღეს გამოქვეყნებული ცნობა ლევის, დეიმიგის და სხვათა მოქმედების შესახებ, ჩვენი რეზოლუცია მისცემს ამხანაგებს ცეტკინს, მალცანს, ნეიმანს და ფრიზლენდს იარაღს ხელში ურჩი ამხანაგების წინააღმდეგ საბრძოლველად.

რეზოლუციას იღებენ ერთხმად.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

ახალ-სენაკი. 30 სექტემბერს, (დეპეშით) (დაგვიანებულია). სამაზრო პარტიული კონფერენციები მოხდა 6 რაიონში: სალხინო, მარტვილში, ბანძა, აბაშა, ნოქალაქევი და ძველ—სენაკში. სამაზრო კონფერენციისათვის არჩეულია დელეგატები. პარტიის გამწმენდ და გადამთვალიერებელ კომისიაში შედიან: ამხ. ქვთარაძე თავმჯდომარეთ, ბედია და ლომთათიძე წევრებათ. მაზრა გაყოფილია სამ რაიონად: აბაშის— ლომთათიძის მეთაურობით, მარტვილის და ძველი სენაკის—ქავთარაძის მეთაურობით, სალხინო, ნოქალაქევი და ახალ-სენაკის—ბედიას მეთაურობით.

ზუგდიდი. 1 ოქტ. (დეპეშით) პოლიტ. განათლების კოლეგიის დადგენილებით მაზრაში მოხდენილია სკოლების შეერთება. ხდება მასწავლებელთა გადაჯგუფება. მასწავლებელთა ნაკლებობა ხელს უშლის მაზრაში სავალდებულო სწავლის შემოღებას.

წერა-კითხვის უცოდინარობის მომსპობ კომისიაში მუშაობა სისწრაფით სწარმოებს. მიმდინარეობს წერა კითხვის უცოდინართა აღწერა.

სოფლებში გაგზავნილია ინსტრუქტორი, რომელმაც უნდა დაათვალიეროს და გამოარკვიოს, თუ სად უნდა გაიხსნას სამკითხველოები და სად შეიძლება დაარსება კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებებისა. ახლო მომავალში მოწვეულ იქნება მასწავლებელთა კონფერენცია, რომელზედაც საორგანიზაციო ცენტრის ინსტრუქტორი გააცნობს სწავლის ახალ სისტემას და ინსტრუქციას.

რუსეთი

ოქტომბრის წლის თავის დღესასწაულისათვის.

მოსკოვი. 5 ოქტ. (რადიო). ორგბიუროს დადგენილების თანახმად, შექმნილია კომისია ოქტომბრის რევოლუციის 4 წლის თავის დღესასწაულის მოსაწყობად. კომისიის შემადგენლობაში შედიან: რ. კ. პ. ც. კ., ც. აღმ. კ., პ. კ. ც. ს და პოლიტ-განათლების მთ. სამმართველოს წარმომადგენლებისაგან. სათანადო შემადგენლობის კომისიები მოეწყობიან ადგილობრივადაც. კომისიამ დღესასწაულის შემდეგი წეს-რიგი დააწესა: მორთულობა დაყვანილ იქნას მინიმუმამდე. სპეციალ ხარჯების გაუწევლად; ლოზუნგები შეუთანხმონ ახალი ეკონომიურ პოლიტიკას, დღესასწაული დაიწყოს წინა დღიდან (6 ნოემბერი) საღამოების გამართვით ოქტომბრის რევოლუციის მონაწილეთა მოგონებით, ამასთან ამ საღამოებზე მოწვეულ იქნეს ფართო უპარტიო მასსები. თვით დღესასწაულის დღეს არავითარი დემონსტრაციები არ იქნას გამართული, მიტინგები უნდა ატარებდნენ საპროპაგანდო ხასიათს თემებზე: „ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი და ახალი ეკონომიური პოლიტიკა“. მიტინგების გარდა მოეწყოს წარმოდგენები და კონცერტები. ახლო დღეებში კომისია ყველა პარტიულ ორგანიზაციებს დაუგზავნის გეგმას საღამოების მოწყობისას, გეგმას მისცემს სიტყვიერ კონსპექტს აღნიშნულ თემებზე და გამოსცემს ცირკულიარს ოქტომბრის რევოლუციის 4 წლის თავის დღესასწაულის შესახებ.

ბრძოლა საზღვარ-გარეთელ სპეკულიანტების წინააღმდეგ.

პეტროგრადი. 2 ოქტომბერი. საგარეო ვაჭრობის პეტროგრადის განყოფილებამ შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: უცხოეთ გემებით ხშირად მოდიან სხვა და სხვა ჯურის სპეკულიანტები, რომელნიც სხვა და სხვა საქონლის და სურსათ-სანოვაგის მოწოდების შესახებ იძლევიან წინადადებას. ამ წინადადებათა მიზანია— ჩვენი სახელმწიფოებრივი მონოპოლიის ჩაშლა საგარეო ვაჭრობასთან. სურსათის და პირველ მოთხოვნილების საგნების ყიდვის უფლება აქვს მხოლოდ პეტრო-კომუნას, საგ. ვაჭრობის კომისარიატის კონტროლ ქვეშ. არავითარ სხვა ორგანიზაციებს არა აქვთ უფლება მოლაპარაკება აწარმოონ ან შეისყიდონ რაიმე საქონელი. სურსათის და სხვა აუცილებელ საგნების ყიდვის შესახებ უნდა მიმართონ პეტრო-კომუნას.

ტრანსპორტის მუშათა მომარაგება.

მოსკოვი 6 ოქტომბერი. (რადიო). ტრანსპორტის მუშათა ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ც. აღმ. კ-მა დაავალა სასურსათო კომისარიატს, ტრანსპორტის მუშაკთ პირველ რიგში მოაწყოს მარაგი, წითელი ლაშქრის შემდეგ. ტრანსპორტის მუშათა მიერ მიღებული ხელფასი უნდა იქნეს ანაზღაურებული შემდეგ თვეში საქონლის გაცვლითი ღირებულებით ან კრედიტებით. ცენტრო-კავშირმა უნდა მისცეს სატრანსპორტო კოოპერაციას დამხადებისათვის დამატებითი რაიონები. გარდა ამისა ც. აღმ. კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი დადგენილებები სატრანსპორტო კოოპერაციის მონაწილეობაზე გასაცვლელ საქონლის ფონდში, ამ კოოპერაციის ფულის მარაგის გადიდებაზე, წარმოების ორგანიზაციაზე და საქონლის გაცვლის საჭიროებათათვის.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ნორვეგია

რუსეთ-ნორვეგიის შეთანხმება

მოსკოვი, 5 ოქტომბერი (რადიო). ნორვეგიის სტორტინგმა მოიწონა სამოცი ხმით ორმოცდა შვიდის წინააღმდეგ რუსეთ ნორვეგიის სავაჭრო შეთანხმება. შეთანხმებას რატიფიკაცია უყვეს.

ისპანია

ჟანდარმთა პროვოკაცია

პარიზი 24 სექტემბერი. გაზ. „ჰუმანიტე“ იუწყება, რომ სასტიკი რეპრესიები მიმართული კატალონიაში (ისპანია) პროფესიონალურ მოძრაობის წინააღმდეგ, გრძელდება. პოლიციამ ახალი ტერორისტული შეთქმულება მოაწყო, სახელდობრ სინდიკალისტთა პასუხისგებაში მიცემის მიზნით. ჟანდარმთა განცხადებით, ერთ მუშას გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა მთელი თოფხანა, სადაც აღმოჩენილია სხვათა შორის 42 ყუმბარა. მიუხედავათ ბრალდების სიყალბისა, მუშა უეჭველად დაისჯება.

ავსტრია

ომის მსხვერპლთა ინტერნაციონალის კონგრესი

მოსკოვი, 5 ოქტომბერი (რადიო). ორ ოქტომბერს ვენაში გაიხსნა ომის მსხვერპლთა ინტერნაციონალის მეორე კონგრესი. ავსტრიის მუშათა დეპუტატების საბჭოს სახელით მისალმებით გამოვიდა ფრიდრიხ ადლერი, რომელმაც აღნიშნა სიდიადე, იმპერიალისტურ ომის მიერ დაზარალებულ მუშათა ორგანიზაციების შორის კავშირის გაბმის შესახებ.

საფრანგეთი

გაფიცვა საფრანგეთში

მოსკოვი, 5 ოქტომბერი (რადიო). გაფიცვა ჩრდილოეთ საფრანგეთში არა თუ გრძელდება, არამედ ფორმები, რომელშიაც ის მიმდინარეობს, უფრო და უფრო მწვავდება.

ქრონიკა

◆ **საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოების პირველი ყრილობა.** საქ. სახალხო მეურნეობის საბჭოთა პირველი ყრილობა გაიხსნა სამ ოქტომბერს ქალაქის რევკომის დარბაზში ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის ამხ. ტოროშელიძის მიერ. ყრილობის გახსნის შემდეგ კონფერენციის წინადადებით, არჩეულ იქმნა პრეზიდიუმში ტოროშელიძე, ვირაპი, ოდილავაძე და ბურჯანაძე.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა მისალმებანი ამხ. ტოროშელიძისა, საქრევკომისა და ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის სახელით. საქ. კომპარტიის ც. კომიტეტის სახელით ამხ. ორახელაშვილისა, რ. კ. პ. და ს. რ. პ. კ. სახელით ამხ. ფიგატნერისა, ს. პ. კ. ს. ს. სახელით ამხ. ვირაპისა და გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის და რუსეთის კოოპერატიულ ორგანიზაციათა სახელით ამხ. რაბინოვიჩისა. თავიანთ მისალმებებში ორატორებმა ხაზი გაუსვეს ყრილობის დიდ მნიშვნელობას ადგილებისათვის მტკიცე დირექტივების დამყარების საქმეში ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით. დელეგატების წინადადებით, ყრილობამ დაადგინა, გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშები: ამხ. ლენინს, ს. კ. პ. ც. კომიტეტს, საქ. რევკომს, რ. კ. პ. ც. კ. და რ. ს. უ. საბჭოს.

◆ **სახელმწიფო გამომცემლობაში.** წარსულ კვირის განმავლობაში სახელმწიფო გამომცემლობამ დაამთავრა ბეჭდვა შემდეგი წიგნების და ბროშურებისა: ქართულ ენაზე: „ვინ არიან კომუნისტები“ „ოქტომბრის გადატრიალება და გროვსებითა საკითხი“, „კომუნალურ სასოფლო სამეურნეო წარმოებათა წესდება“; „რისთვის იბრძვის რუსის წითელი ლაშქარი (ზინოვიევისა“) „ოჯახი და კომუნალური მეურნეობა«, კომუნისტ პოეტის ეულის ლექსთა კრებული. რუსულ ენაზე: „მენშევიკურ პარტიის დიქტატურა საქართველოში“ (ფ. მახარაძისა) და „ქაღალდის ფული პროლეტარიატის დიქტატურის დროს“. (პრეობრაჟენსკისა).

თავდება ბეჭვდა კომპარტიის მე-10 ყრილობის რეზოლუციისა, „სასურსათო გადასახადი“, ბროშურა სასურსათო კომისრის ერქომაიშვილისა (ქართულად და რუსულად), „სოფელში მუშაობა სკოლის გარეთ განათლების დარგში“: (ქართული), თავდება აწყობა წიგნებისა „პოლიტიკური ეკონომია ბოგდანოვისა, კითხვა—პასუხი რუსულ ენაზე, „შრომის მთლიანი სკოლის ინსტრუქცია და პროგრამა. აწყობენ ქრისტომატიას ქართულ ენაზე „თიგური“, სახელმძღვანელოს „ახალი სკოლა«, „თამაშობანი“ მერკვილაძესი, საბავშო ზღაპრების რამდენიმე წიგნი, წიგნი ნაკაშიძისა „შემოდგომა“, სახელმძღვანელო თურქულ ენაზე „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა“, ანბანები სწავლის პირველი წლისათვის და ანბანები სწავლის მე-2 წლისათვის, აწყობილია და არ იბეჭდება ტექნიკურ პირობების გამო „ბერლინის კონგრესი“. მიცემულია ასაწყობად პოლიტიკური ეკონომია ბოგდანოვისა ქართულ ენაზე.

მუშაობას ძლიერ აბრკოლებს ხშირი უქონლობა ელექტრონის ძალისა, რის გამო უსაქმოთ დგას მთელი რიგი საბეჭდავ მანქანებისა და არ მუშაობს ასოთამწყობი მანქანები.

◆ **მწერალთა ყრილობა.** კვირას ოქტომბრის 9 ს ტფილისში ხელოვნების სასახლეში დღის 12 საათზე, გაიხსნება სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა. დღიური წესრიგი შემდეგია: 1) მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ, 2) ფინანსიური ანგარიშები, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) სახელმწიფო გამომცემლობა და მწერალთა კავშირი, 5) „რაბისი“ და მწერალთა კავშირი, 6) ხელოვნების სასახლის ორგანიზაცია, 7) სამეურნეო საბჭოს დაარსება, 8) მიმდინარე საკითხები, 9) არჩევნები.

◆ **რევოლუციის გამოფენა.** მე-3 ქალთა გიმნაზიის შენობაში გახსნილი, რევოლუციონურ ახალგაზდობის, პრესის, ფულის ნიშნების და რევოლუციონური დროის, საფოსტო მარკების გამოფენაზე ხალხი ნაკლებად დადის. გამოფენას, არსებობის მთელი დროის განმავლობაში 20 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდის, ეწვია სულ 1365 რეგისტრაციაში გატარებული კაცი, გამოფენაზე მოსულ რეგისტრაციაში გაუტარებელთა ჩათვლით, 1565 კ. უმეტესი რიცხვი მოვიდა კვირას, 25 სექტემბერს. უმცირესი—გახსნის დღეს, 20 სექტემბერს—30 კაცი, და 2 სექტემბერს (ავდრიან დღეს)—46 კაცი. გამოფენის დასწრებითა სიმცირის მიზეზი მიუხედავად გამოფენისადმი უეჭველ ინტერესისა, აიხსნება ბინის სიშორით და სუსტი პოპულიარიზაციით გამოფენისა.

თეთრგვარდიელთა განყოფილებას, რომელშიც შესვლისთვის საჭირო იყო განსაკუთრებული ნებართვა დაესწრო ასამდე კაცი.

◆ **საბჭოთა სახლების შეკეთება.** ტფილისის ქალაქის რევკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების ტექნიკურ-სანიტარულ-სამშენებლო განყოფილება შეუდგა ქალაქში საბჭოთა სახლების შეკეთებას იმ ვარაუდით, რათა იგი მზათ იყვეს ზამთარში საცხოვრებლად.

„ბავშვის კვირა“

ინსტრუქცია

„ბავშვის კვირის“ დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლათ.

(დადგენილება საქართველოში „ბავშვის კვირის“ გამტარებელ მთავარ კომიტეტისა).

1. ა. წ. 15—22 ოქტომბრამდე დეკრეტის თანახმად ს. ს. ს. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ტარდება „ბავშვის კვირა“, რომლის უმთავრესი დანიშნულებაა მცხოვრებთა ფართო მასის ბავშვთა დახმარების საქმეში მონაწილეობის მიღება, სკოლებისა და საბავშო დაწესებულებათათვის სურსათით, პირველ მოთხოვნილების საგნებით, სასწავლო ნივთებით, ლიტერატურით და ფულით, დახმარების აღმოჩენა; აგრეთვე სოციალისტურ აღზრდისა და ბავშვთა დაცვის იდეის პროპაგანდა-აგიტაციის გაწევა.

2. ამ მიზნის მისაღწევად და ბავშვთა კვირის ცხოვრებაში სათანადო გასატარებლად საჭიროა შემდეგი: ამ ინსტრუქციის მიღებისთანავე ადგილობრივად დაუყონებლივ დაარსდეს „ბავშვთა კვირის გამტარებელ კომიტეტისა“ შემდეგი შემადგენლობით: თავ-ჯდომარე ადგილობრივ სახალხო განათლების თავმჯდომარისაგან და წევრები: რევკომის, კომპარტიის საქალთაო განყოფილების, ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის, სასურსათო კომიტეტის ჯანმრთელობის ბიუროს და მშრომელთა კავშირების წარმომადგენელთაგან; კოოპტაციის უფლებით ისეთ პირების მოწვევაზე, რომელნიც სასარგებლოდ აღმოჩნდებიან ორგანიზაციულ მუშაობისათვის.

ბ. ხდება მობილიზაცია განათლების კომისარიატის, ჯანმრთელობის კომისარიატის, სასურსათო კომისარიატის, პროფკავშირების, კომპარტიის და ახალ კომ. კავშირის საინიციატივო მუშაკებისა.

გ. ეწყობა ყველგან კამპანია პრესაში, იცემა ფურცლები, პლაკატები და საერთოდ მოხმარებულ იქნება ყოველგვარი საშუალება ბეჭვდითი და სიტყვიერი პროპაგანდისა.

დ. იმართება კონცერტები, წარმოდგენები, საბავშო საღამოები, დღესასწაულები, სპეციალური კინო-ლენტების ჩვენება და მიტინგები.

ე. ეწყობა ფართო ნიადაგზე ბავშვების მოსამარაგებლად სკოლებსა და საბავშო დაწესებულებების მოსახმარებლად საჭირო ნივთების მოგროვება.

3. „ბავშვთა კვირას“ განმავლობაში ეწყობა დათვალიერება და სანიტარულ მდგომარეობაში ჩაყენება ყველა იმ შენობების, რომლებშიაც მოთავსებულია სკოლები საბავშო სახლები და სხვა საბავშო დაწესებულებანი. აგრეთვე ექიმები აწარმოებენ სასკოლოთ ასაკის ბავშთა გასინჯვას.

4. ყველა სახელმწიფო დაწესებულება და ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ „ბავშვის კვირის“ განმავლობაში სისრულეში მოიყვანონ რაიმე მიზეზით შეუსრულებელი საყურადღებო საქმეები, რომელნიც ეხება ბავშვებს, სკოლებს და საბავშო დაწესებულებებს.

5. „ბავშვის კვირის“ მოწყობა და წესრიგის საერთო ხელმძღვანელობა და მოკრებილ ნივთების შენახვა ეკუთვნის „საქართველოში ბავშვის კვირის გამტარებელ მთავარ კომიტეტს“, რომელიც შედგენილია საქ. რევკომის დეკრეტის მესამე მუხლის თანახმად და მოთავსებულია ტფილისში (1 ლორის მელიქოვის ქუჩა სახალ. განათლების კომისარიატი).

6. „ბავშვის კვირის“ გასატარებლათ ადგილობრივ უნდა მოეწყოს არა ნაკლებ ერთის შაბათობის ან კვირაობის, რომლის დროსაც მუშაობა იქნება განსაკუთრებით ბავშვებისა და შკოლების საჭიროებისათვის. (სახელდახელო შეკეთება შენობისა, შეშის მოჭრა და დახერხვა, სკოლის ინვენტარის შეკეთება და სხვა).

7. კომიტეტს ტექნიკურ საქმეთა მომწყობ აპარატათ ითვლება სახალხო განათლების განყოფილებები, რომელნიც მთელ თავის ძალღონეს მიმართავენ „კვირის საუკეთესო ჩასატარებლათ».

8. „კვირის“ მოწყობისათვის საჭირო თანხას იძლევა ადგილობრივი სახალხო განათლების განყოფილებანი (ნაროპრაზ).

9. შემოწირულების მოგროვების წესი ტექნიკურად, როგორიც არის ადგილის მოწყობა, ანგარიშის წარმოება, კონტროლი და სხვა დამოუკიდებლად სწარმოებს ადგილობრივ კომიტეტების მიერ ადგილობრივ პირობების მიხედვით.

10. შემოწირული პროდუქტები „ბავშვის კვირისა“ გროვდება სასურსათო კომისარიატის საწყობებში და ნაწილდება განათლებისა და ჯანმრთელობის კომისარიატების შეთანხმებით.

11. დანარჩენი საგნები, რომელიც შეგროვილი იქნება „ბავშვის კვირაში“ ინახება ადგილობრივ კომიტეტების მიერ, ირიცხება სახალხო განათლების კომისარიატის ორგანიზაციულ ცენტრის განკარგულებაში და საერთო-განაწილებამდის, რომელიც შეფარდებული იქნება ადგილობრივ საჭიროებასთან, არ შეიძლება დაიხარჯოს.

12. ფულით შემოწირულება შედის სახალხო განათლების კომისარიატის სალაროში, ადგილობრივ კი სახალხო განათლების სალაროში. ხოლო ამ შექმნილ ფონდის დახარჯვა ცენტრის განკარგულების გარეშე არ შეიძლება.

13. ყველა ადგილობრ. კომიტეტები ვალდებულია სამი დღის განმავლობაში „ბავშვის კვირის“ დასრულების შემდეგ, სრული ანგარიში წარედგენონ მთავარ კომიტეტს.

14. რესპუბლიკის მასშტაბით „ბავშვის კვირის“ შედეგების გამოკვლევის შემდეგ მოგროვილის განაწილება მოხდება სახალხო განათლების და ჯანმრთელობის კომისარიატების შეთანხმებით.

მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე **ბრახნიჩევი.**

მდივანი **კ. დედოფა.**

პარტიული ცხოვრება

სოფელი შინდისი.

სოფელ შინდისში შესდგა რაიონის შვიდი სოფლის კომიაჩეიკების ყველა წევრთა კრება. კრება გაიხსნა ამხანაგ მარკოზ ჩლაიძის თავმჯდომარეობით და ლ. ნუცუბიძის მდივნობით. მოხსენება გააკეთა ცხინვალიდან მოწვეულმა ამხ. ა. აუშტროვმა: მომენტზე, პარტიულ მუშაობაზე, პარტიულ დისციპლინაზე მიმდინარე საკითხებზე. მოხსენებულმა ვრცლად შეეხო ყველა საკითხებს და ნათლათ აუხსნა დამსწრეთ ყველაფერი, მოუწოდა ამხანაგებს ენერგიულ მუშაობისაკენ და ხაზი გაუსვა პარტიის გამაგრების საჭიროებას, რომელიც გაწმენდილ უნდა იქმნას ულირსი პირებისაგან. იყო სხვა და სხვა შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც ის ფიცსა სდებს მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე, რომ გაცხოველებული პარტიული მუშაობით და შეგნებით ხელს შეუწყობს საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობის საქმეს, რომელიც დაამყარებს ქვეყნით საბჭოთა ხელისუფლებას და მიიყვანს მუშათა კლასს კომუნიზმის ბრწყინვალე გამარჯვებამდე. კრება სალამს უძღვნის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რუსეთის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მესვეურთ.

ნ. პატარაძე.

—

ქალაქ ზუგდიდი.

1921 წ. 16 სექტემბერს შესდგა ზუგდიდის მაზრის, ქალაქის და უბნის მილიციელთა კომ-იაჩეიკის წევრთა და კანდიდატთა კრება, კომიაჩეიკის სამკითხველოს დარბაზში. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ამხ. გაბა კვარაცხელია და მდივნად ამხ. ნინა კარტოზია. მოხსენებას აკეთებს მილიციის პოლიტკომი ამხანაგი კირილე მიქაია, რომელიც ვრცლად ეხება რევოლუციის და კომუნისტურ პარტიის დიდ მნიშვნელობას მშრომელთა განთავისუფლების საქმეში. შეეხო აგრეთვე მილიციაში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის მნიშვნელობას და მოუწოდა ამხანაგებს რათა დიდი ენერგიით მოჰკიდონ ხელი ამ ფრიად საჭირო საქმეს და აღმოუჩინონ მას დახმარება (მილიციელთა გაუნათლებლობის ლიკვიდაციის საქმეში. მან სთქვა: „მართალია მილიციელნი ჯერ-ჯერობით არ არიან ჯეროვნად დაკმაყოფილებული ნივთიერად, მარა დღეს გაჭირვებული ხელისთვის ლხინს უნდა მოელოდეს და კიდევაც ახლო მომავალში მილიციელნი იქნებიან სავსებით დაკმაყოფილებული. ამხ. მიქაიამ განაგრძო მოხსენება: „თქვენ, ამხანაგებო, რომელსაც საგუშაგოზე სდგეხართ, უნდა იცოდეთ რომ თქვენ დარაჯობთ ისევ თქვენ თავს, თქვენივე ძმობილებს და მშრომელ ხალხს, ვინაიდან საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია არიან მშრომელთა ინტერესების გამომხატველნი და რომ კომუნისტური დიადი იდეალების განხორციელებას და განმტკიცებას მოჰყვება მშრომელთა სრული გამარჯვება მტაცებლურ კაპიტალიზმზე“ ამის შემდეგ ამხ. მიქაიამ მიუთითა იმაზე რომ მილიციაში შეპარულან ზოგიერთნი, რომელთაც თავი უსახელებიათ ძველი მენშევიკური მთავრობის დროს ექსპლოატაციით, მშრომელთა გაცემით და სხვა ასეთი რამ სამაგლობით: ამ ელემენტებისაგან უნდა გაიწმინდოს მილიცია, მათ არ უნდა მიეცეთ ადგილი მუშურ-გლეხურ საბჭოთა მილიციაში. ამხ. მიქაიას მოხსენებით და ყველა ზემოხსენებულ გარემოებათა წინააღმდეგ გალაშქრებით მილიციელნი ძლიერ კმაყოფილი დარჩნენ. მოხსენების გათავებისას კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: „ჩვენ, ზუგდიდის მაზრის, ქალაქის და უბნის მილიციელთა მრავალ-რიცხოვანი კომიაჩეიკის კრება გულწრფელად მივესალმებით მუშათა და გლეხთა დამცველს, ბურჟუაზიის ბრჭყალებისაგან განმათავისუფლებელს, მებრძოლ კომუნისტურ პარტიას. ღრმად დარწმუნებული ვართ და გვჯერა, რომ ჩვენი მიზანი, იქნება მიღწეული მუშებისა და გლეხების საკეთილდღეოდ; ვფიცავთ კომუნისტური პარტიის წინაშე, რომ ჩვენ, როგორც ერთი კაცი, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავთ იმ დროშას, რომელიც ხელთ უპყრია პარტიას, და არავის მივცემთ ნებას მისი შელახვისას“. დასასრულს კრება ადგენს: მივესალმოთ საქართველოს ს. ს. მთავრობას, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ჩვენს ბელადებს ამხ. მიხა ცხაკაიას და ფილიპე მახარაძეს. გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციის ბელადს ამხ. ლენინს. გაუმარჯოს წითელი ლაშქრის წინამძღოლ ამხ. ტროცკის. გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას.

კრების მდივანი **ნ. კარტოზია.**

პროვინციაში

ბორჯომი.

21 სექტემბრის დღესასწაულმა აქ დიდებულათ ჩაიარა. დილის ათ საათზე წითელ ჯარის ნაწილებმა გაიარეს რევოლუციონურ სიმღერებით და წითელი დროშებით, მთავარ შტაბთან მათ მიესალმა ამხ. ვაიდეკი და აუხსნა დღესასწაულის მნიშვნელობა. ვაიდეკის სიტყვას წითელ არმიელები დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ და გაისმა ურას ძახილი. ამ დროს გამოჩნდა წითელი დროშით მომავალი კომპარტიის წევრები ჩარხის წყლიდან და სხვ. უბნებიდან, რომელნიც შეუერთდნენ წითელ ჯარს. აქედან მთელი პროცესია გაემართა ადგილობრივ რევკომის ბინისაკენ, სადაც მათ მხურვალი სიტყვით მიულოცა ამხ. ბარბაქაძემ ქართულად და ამხ. მამაკინმა რუსულად. პროცესია თანდათან იზრდებოდა და მრავლდებოდა. რევკომიდან პროცესია გაემართა კომპარტიის ბინაზე. გზაში შეხვდა ჯავშნოსანი ავტომობილი, რომელიც მორთული იყო სადღესასწაულოდ, როგორც საზოგადოთ მთელი ქალაქის დაწესებულებანი და კერძო ბინებიც. კომპარტიასთან გაიმართა მიტინგი, რომელზედაც წარმოთქვეს სიტყვები ამხ. არევაძემ ქართულად და ამხ. ლომსაძე რუსულად, აგრეთვე მიულოცა წითელ ჯარს პროფკავშირიდან ამხ. კრავცოვმა. აქვე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პოლიტკომმა. თვითეულ სიტყვას ჰფარავდა ურას ძახილი და ტაშის კვრა.

საღამოს რვა საათზე მოწყობილ იქმნა კონცერტი და ილიუმინაციები.

ონისიმე არევაძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.
— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.
— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.
— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.
— მე-4-ზე რაიონის ბიურო—ოლღა ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.
— მე-5-თე რაიონის ბიურო—ამაღლების ქუჩა.
— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

კვირას, ოქტომბრის 9-ს ტფილისში ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქუჩა 13) გაიხსნება

სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა

დღიური წესრიგი: 1) მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ. ა. აბაშელი და კ. მაყაშვილი, 2) ფინანსიური ანგარიშების შესახებ. ი. აღლაძე და ვ. რუხაძე, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) სახელმწიფო გამომცემლობა და მწერალთა კავშირი. ტიციან ტაბიძე და ვ. კოტეტიშვილი, 5) „რაბისი“ და მწერალთა კავშირი—ა. აბაშელი, 6) ხელოვნების სასახლის ორგანიზაცია—ტიციან ტაბიძე, 7) სამეურნეო საბჭოს დაარსება, 8) მიმდინარე საკითხები, 9. საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პროვინციიდან ჩამოსულ მწერლებს საბჭოსგან მიეცემათ გზის ფული, სადილი და ბინა. ყრილობა გაიხსნება დღის 12 საათზე.

მწერალთა კავშირის საბჭო.

სახელმწიფო გამომცემლობისაგან

ცხადდება ყველა დაწესებულებების და პირების საყურადღებოთ, რომ სახელმწიფო გამომცემლობის მმართველობის ნებადაურთველათ კატეგორიულად აკრძალულია ბეჭვდა რომელიმე სტამბაში ყველა გამოუკლებლივ პოლიგრაფიული სამუშაოებისა. ეს წესი არა ვრცელდება მხოლოთ სამხედრო ხასიათის სპეციალურ გამოცემებზე, რომლებიც სრულდება სამხედრო უწყების გამგებლობაში მყოფ დაწესებულებების სტამბებში. კერძო შეკვეთილების შესრულება აქ სტამბებში შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოთ ყოველთვის სახელმწიფო გამომცემლობის მმართველობის ნებართვით. სახელმწიფო გამომცემლობის მმართველობის დაუდასტურებლათ პოლიგრაფიულ სამუშაოების ასრულებისთვის ისჯებიან არამც თუ აღმსრულებელნი, არამედ შემკვეთნიც.

სახელმწიფო გამომცემლობის მმართველობის გამგის მოადგილე **ი. ბრახნიჩევი.**

საერთო განყოფილების გამგე: **მაზურევი.**

ტირაჟი 10.000 ნ. ფ. ს. ტ. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ., № 4.